მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვჰოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 23 **1883—1893** **15 დეკემბერს.**

ქართლ-კახეთის ეპარქიის მთელი სამღვდელოების დეპუტატების კრებისა გამო ქ. თბილისში ოქტომბრის 8—14-დე.

(გაგრძელება *)

12 ოქტომბერს სამღვდელოების კრებას ჰქონდა ბაასი და მსჯელობა მათი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის მთავარეპისკოპოსის ელადიმირის წინადადებაზე, რომელითაც ითხოვებოდა, რომ ერთი განსაკუთრებული მისიონერი დაენიშნათ ქართლ-კახეთის ეპარქიაში და მისი ჯამაგირის წყაროც გამოენახათ. ნათქვამი იყო, რომ ქართლ-კახეთის ეპარქიაში ოთხმოცი ათასი სხვა-და-სხვა მწვალებელი არის. რუსეთის ზოგიერთ ეპარქიებში არა თუ თითო, არამედ ორი და ზოგან სამი მისიონერი ჰყავსთო და ქართლ-კახეთის ეპარქიაში არც ერთი მისიონერი არ არისო. ამისათვის კრებას მიეცა წინადადება, რომ მას გამოენახა რაიმე საშუალება ერთი საზოგადო მისიონერის ჯამაგირის დასანიშნავად.

ამ კითხვამ დიდი ბაასი გამოიწვია კრებაზე. ბევრი რამ საყურადღებო გამოითქვა ამ კითხვის შესახებ. აქ ჩვენ უნებლიეთ გვაგონდება ერთი სიტყვა, რომელიც უთხრა თფილისის სას. სემინარიის ინსპექტორმა მათ მაღალ ყოველად უსამღვდელოესობას აწ მიტროპოლიტს პალლადის თფილისში სამღვდელოებასთან გამოთხოვების დროს. ინსპექტორმა, მღვდელ-

*) იხ. «მწყემსი» № 17 1893 წ.

მონაზონმა ი—მე მოახსენა მათ მეუფებას: «ყველამ იცის, რომ რუსეთიდან მრავალი რიცხვი მწვალებლებისა იგზავნებიან და მოდიან საქართველოში. აქ ნახავთ თქვენ «მოლაკნებს», «პრიღუნებს», «სკაკუნებს», «დუხობორებს», «სუბოტნიკებს», «ბაპტისტებს», «სკოპცებს», «შტუნდისტებს» და რაგვარი მწვალებლები არ გნებავსთ, რომ აქ არ შეხვდეთ. საკვირველია, რომ ეს მწვალებლები იგზავნებიან ზოგი დასასჯელათ და ზოგნი თავის სურვილით თვითონვე მოდიან და ესახლებიან ამ შორეულ ქვეყანაში. მოშორდებიან თუ არა ეს პირნი რუსეთს, მათზედ აღარავინ ფიქრობს. მე გაბედულად შემიძლია ვსთქვა, რომ დღემდის მათზედ არავის არ უფიქრია და მხურვალე შრომა არ მიუღია მათ მოქცევაზედ და ჭეშმარიტ გზაზედ დასაყენებლად. მართალია, ისინი მოშორდენ რუსეთს, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა მათზედ ზრუნვა, სადაც უნდა გავგზავნოთ და სადაც უნდა წავიდნენ იგინი. თქვენმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ მიაქცია ამ დაკარგულ სამწყსოთა ყურადღება და მათ ჭეშმარიტ გზაზედ დაყენებას. ჭეშმარიტად, საქართველოში სხვა მრავალ თქვენ კეთილ საქმეთა და შრომათა შორის, პირველი ადგილი უჭირავს თქვენს ზრუნვას რუსეთიდამ გადმოხვეწილ სხვა და სხვა მწვალებელთა ზედა. დღემდის მრავალი მწვალებლები გადმოხვეწილან რუსეთიდამ საქართველოს მხარეში და აქ ღვთის ანაბარად არიან გაშვებულნი. საქმით არა სჩანს, რომ მათზე ვინმე ზრუნავდეს. ნუ თუ საკმაოა მარტო ის, რომ ჩვენ რუსეთიდამ ეს მწვალებლები საქართველოში გამოვგზავნოთ და აქ დავასახლოთ»? ასე დააბოლოვა ორატორმა თავისი, მართლადაც, საყურადღებო სიტყვა.

აქვე უნებლიეთ გვაგონდება სიტყვა, თქმული სამხედრო წოდების სამღვდელოთა უფროსი მღვდლის დეკ. ჟელობოვსკისაგან, რომელიც მან სთქვა პეტერბურღში ძმობის კრებაზე. «ყარსის ოლქში, ბრძანა მან, მე ვნახე რუსეთიდამ გაგზავნილი მრავალი სხვა და სხვა მწვალებლები, რომელნიც ძლიერ მტრულად უყურებენ რუსეთს, საიდგანაც იგინი გამოაძევეს»... და სხ.

ჭეშმარიტად რაღაცა სასწაულებაა ქართველების თავზედ, რომელნიც 1500 წ. განმავლობაში სრულებით მოკლებულნი არიან ყოველგვარ მწვალებლებს და არც კი იციან ქართველებმა, ვინ არიან «რასკოლნიკები?» უმეტესად შესანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამოდენა აუარებელ მწვალებლებს, საქართველოს მხარეში გადმოხვეწილთ, ვერც ერთი ქართველი ვერ შეუცდენიათ და ვერ მოუქცევიათ თავის სჯულზედ. ზოგიერთი პირნი, რომელნიც ყოველთვის ახირებულად აზრობენ და სჯიან, ამ შესანიშნავ გარემოებას მიაწერენ ქართველების სარწმუნოებითი გულგრილობას. ეს მართალი არ არის. საქართველოში ისე დაცემული არ არის სარწმუნოება, როგორც ამას ამტკიცებენ ხოლმე ზოგიერთნი თავიანთ ანგარიშებში. ვსთქვათ, ეს პირნი მართალს ბრძანებენ, ვითომც ქართველები გულგრილნი არიან სარწმუნოებაზედ. ეს თუ ასეა, როგორ მოხდა, რომ ოთხმოცი ათასმა სხვა-და-სხვა მწვალებელმა ერთი ხუთიოდ-ათიოდე ქართველი ვერ მოაქციეს თავის სჯულზედ? განა უფრო საადვილო არ არის იმისთანა ხალხის მწვალებლად გახდომა, რომელიც გულგრილია თავის სარწმუნოებაზედ?.. ბოდიშს ვითხოვთ მკითხველთან, რომ ჩვენს საგანს გადავსცდით.

შესანიშნავი სიტყვები წარმოითქვა განსაკუთრებული მისიონერის დანიშვნის შესახებ საექსარხოსოში.

დეკ. დეკ. ა. იუნიცკი.. საზოგადო ეპარქიის მისიონერის დანიშვნის წინააღმდეგ მე არაფერი არა მაქვს სათქმელი და კიდეც მჯერა, რომ მისიონერი, ვინც უნდა იყოს იგი, ცოტას თუ ბევრს სარგებლობას მოიტანს. მაგრამ არ შემიძლია არა ვსთქვა, რომ იმდენი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია საზოგადო მისიონერს, რამდენსაც შეიძლებს თვით მრევლის მღვდელი, თუ მის სამრევლოში სცხოვრებენ მწვალებლები. რასაკვირველია, ამისთანა სამრევლოებში უნდა იყვნენ მღვდელნი, რომელნიც თავის წმიდა ცხოვრებით უქადაგებდენ მრევლთა და არა მარტო სიტყვით. მწვალებლები მეტის-მეტ ყურადღებას აქცევენ მღვდელთა საქციელს და მათ ყოფაქცევას. თუ მღვდელი კეთილი ყოფაქცევისა არის, თუ მოძღვარი გამჭრიახე გონების კაცია, ადვილად შეუძლია მიაჩვიოს მწვალებლები იმისთანა წიგნაკების კითხვას, რომელიც, წიგნაკები, შეარყევენ მათ ფანატიკურ სწავლას. ძლიერ საჭირო და სასარგებლო არის, რომ მღვდელი დაუახლოვდეს მწვალებლებს. პირველ შემთხვევაში სრუ-

ლებით არ უნდა ჩამოაგდოს საუბარი მათი რწმენის შესახებ, ისე უნდა დაიახლოვო ისინი ცხოვრებაში და შემდეგ შეუძლიათ დაუწყონ მათ ბაასი სარწმუნოების შესახებაც. ამნაირი შემთხვევა მქონდა მე ჩემს სამრეველოში. როდესაც კარგად დაუახლოვდი ზოგიერთ მწვალებლებს, ბოლოს დაუწყე სარწმუნოების და ეკკლესიის შესახებ ბაასი. დაუმტკიცე ჩვენი ეკლესიის წესების და მახურების უპირატესობა და ჭეშმარიტება, ბოლოს აუწერე, თუ რამდენად შემცდარნი არიან იგინი თავიანთ რწმენასა და მოქმედებაში. აი რა მითხრა ბოლოს არა ერთმა, არამედ ორმა-სამმა და მეტმაც: «ვიცით, მამაო, ვიცით, რომ მართლმადიდებელი ეკკლესიის წესები და მღვდელ-მოქმედება უმჯობესია ჩვენს წესებზედ და მოქმედებაზე, საჭირო არ არის მაგაზედ ბევრი ლაპარაკი, მაგრამ არ შეგვიძლია იმ ეკკლესიაში შევიდეთ და წირვა მოვისმინოთ, სადაც ღვთის შუამდგომლათ მრევლს ჰყავს» №. ამ სიტყვის შემდეგ ამოიღო ერთი გრძელი ქაღალდი და მომცა ხელში წასაკითხავად. წავიკითხე და გავკვირდი: როგორ ადევნეს თვალი იმ კაცის მოქმედებას და ცხოვრებას, რომელიც ამ ქაღალდში იყო მოხსენებული? რამდენიმე საგულისხმო სიტყვის შემდეგ მ. იუნიცკიმ სთქვა: კიდევ განვიმეორებ, მრავალი შეუძლია მრევლის მღვდელს მწვალებლების მოქცევის საქმის შესახებ, თუ იგი აღჭურვილია კეთილი თვისებაებით და ჩემის მხრით ვიტყვი, რომ საზოგადო მისიონერების დანიშვნის მაგიერ საუმჯობესოა თვით მრევლის მღვდლებს დაევალოს მისიონერების მოვალეობაც და ნამეტანი შემწეობაც აღმოუჩნდესთ მათ შესაფერის წიგნაკების მიცემით და სხვებრ. საზოგადო მისიონერს არ შეუძლია ერთი-ორი მისვლით და ქადაგებით მოსალოდნელი სარგებლობა მოუტანოს ხალხს და მწვალებლები მოაქცეოს". მ. ა. იუნიცკიმ ბევრი რამ ისეთი გამოსთქვა, რომელსაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, წინაალმდეგ შემთხვევაში დიდ სარგებლობას ვერ მოიტანენ საზოგადო მისიონერები...

დეკ. ბლაგ. დ. ხახუტოვი. ჩემის ფიქრით როდესაც ჩვენ წინადადებას გვაძლევენ მისიონერის შესანახავად საჭირო ფულების გამონახვის შესახებ, სახეში ჰყავესთ არა მარტო მწვალებლები, არამედ აღგილობრივი სხვა აღსარების ხალხნიც, რომელნიც საქართველოში და მის გარეშემო ბლომად სცხოვრობენ, თუ მისიონერული საქმე ჩვენში კარგად არ მიდის, ამის მიზეზი მრევლის მღვდლების მოუმზადებლობას არ უნდა მივაწეროთ. მე ისეთი შემთხვევები შემხვედა, რომელმანც ნამდვილად დამარწმუნა, რომ მისიონერული საქმე ჩვენში სულ სხვა რიგად არის მოწყობილი და მღვდელი-მისიონერი ვერაფერს ვერ იზამს, სანამ თავიდამ არ მოიშორებს დამაბრკოლებელ მიზეზებს. ჩემთან მოიქცა ერთი პირი მართლ-მადიდებელი სარწმუნოების მისაღებად. ვასწავლე მას ჩვენი სარწმუნოების დოღმატები, მოვამზადე და მოვნათლე. ის იყო სრული წლოვანი. დედ-მამამ თავი გამოიდვა და რაები არ მოუგონეს თავის გაქრისტიანებულ შვილს. ისე მოხდა საქმე, რომ ეს მონათლული დაიჭირეს და დაუპატიმრეს. ბოლოს, ჩემდა გასაკვირვლად, ახლად მონათლულთან მისი დედ-მამა შეუშვეს სანახავად საპატიმროში. დედ-მამას, როგორც მე შევიტყე, ისე ეცემათ საწყლისათვის, რომ სიკვდილზე მიეყენებინათ. განა ესე შეიძლება მოვექცეთ ახლად მონათლულებს! განა რიგი იყო ამ პირის დატუსაღება? ყველაზედ საჭიროა, რომ პოლიცია და სხვა მეუფროსენი ხელს გვიწყობდენ მღვდლებს და მფარველობას უჩენდენ ახლად მონათლულებს. წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია განსაკუთრებულ მისიონერს, რომელიც დროებითად გაივლის სადმე საქადაგებლად და აგგილობრივ ხალხის ზნე-ჩვეულების და მიმართულების კი არა ეცოდინება რა».

ბლაგ. მღ. გამრეკელოვი. მე სრულიად ვეთანხმები მ. ხახუტოვის აზრს შესახებ პოლიციის მოქმედებისა და მათი დახმარებისა. ჩვენს კუთხეშიაც დაღესტნისკენ სწორეთ ამისთანავე მიზეზები გვეღობება წინ მისიონერობის ასპარეზზე. რომელიმე ინგილო მიიღებს ქრისტიანობას, მაგრამ ვაი მისი ბრალი! ვინ არის მისი მფარველი? მისი წინანდელი მონათესავენი და მეზობელნი მოსისხლე მტრებათ უხდებიან მას და, რითაც შეუძლიათ, სდევნიან. ქრისტიანების მხრით არავითარი მფარველობა არა სჩანს მათთვის და ხშირად ხდება, რომ ახლად მონათლული სამუდამოდ იღუპება. თუ ჩვენმა მთავრობამ რამე საშუალება არ აღმოუჩინა ახლად მონათლულებს, ძლიერ საეჭვოა, რომ მისიონერმა რამე სარგებლობა მოიტანოს».

ბევრი საგულისხმო რამ წარმოსთქვეს მმ. ხახუტოვმა და გამრეკელოვმა, რომელნიც მსახურებენ კავკასიაში დაარსებული ქრისტიანობის აღმადგინე-

ბელი საზოგადოების ხარჯით და ითვლებიან სამრევლოებში მისიონერებად, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა მათ ნათქვამს ჩვენ ვერ ვბეჭდავთ...

დეკ. დ. ღამ—შე. მრავალნი ამტკიცებენ, რომ მაღალი სწავლის მიმღებნი თუ მისიონერებად დაინიშნენ, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, მწვალებელთაც და სხვა სარწმუნოების აღმსარებელთაც მოაქცევენ ჩვენს სარწმუნოებაზეო, მაგრამ მე ცოტა საეჭვოდ მიმაჩნია ეს მათი დაპირება. ყველა მისიონერებს სჯობია დეკანოზი მ. კრუჩკოვი, რომელსაც არც ერთ სემინარიაში და აკადემიაში არ უსწავლია. ის თვითონ წინეთ იყო მწვალებელი, მაგრამ ბოლოს გადმოვიდა მართლ-მადიდებელ სარწმუნოებაზე, შეისწავლა ჩვენი დოღმატები კარგად და სადაც დაიწყო მწვალებლებში ბაასობა, ვერავინ მას სიტყვის გაცემა ვერ გაუბედა და ბევრგან მწვალებლები დააყენა ჭეშმარიტ გზაზედ..

ჩვენში, ბათუმის მხარესკენ ერთი მისიონერია დანიშნული, რომელსაც წელიწადში 1500 მანეთამდე ეძლევა. ოთხი წლის განმამავლობაში მან მარტო ერთი აჭარელი კაცი მოაქცია ჩვენს სარწმუნოებაზედ! «ივერია»-ში ვკითხულობთ, რომ ერთმა მოლამ ხუთ ქართველს მიაღებინა მაჰმადის სჯულიო. წარმოიდგინეთ, რომ ამ მოლას არა თუ 1500 მანეთი, ვგონებ, მთავრობისაგან კაპეიკიც არ ეძლევა! რა უნდა ჰქმნას მისიონერმა იქ, სადაც ხალხის ენა არ იცის?! რამდენი ხანია მისიონერები მსახურებენ აფხაზეთში, მაგრამ არ იქნა ერთი მუჭა ხალხის—აფხაზების მორჯულება. 1848 წლიდამ იქ ეპარქია და სამღვდელოება არსებობს და ჰქადაგებენ, მაგრამ სასურველი ნაყოფი არა სჩანს მაინც. რისთვის? მისთვის, რომ მისიონერებს ხალხის ენა არ ესმისთ და ხალხს მისიონერების ენა. რაც ფული დახარჯულა მისიონერებზედ, იმის ნახევარი რომ დაგვეხარჯა ამ აფხაზების შვილების გამოსაზრდელად, დღეს სავსე იქნება აფხაზეთი და დაღესტნის კუთხე მკვიდრ მცხოვრებელ მღვდელთაგან, რომელნიც მშვენიერ სამსახურს გაუწევდენ თავიანთ თემს. ქრისტიანობა ოსეთის მხარეში მტკიცედ მყარდება იმის წყალობით, რომ იქაურ სამღვდელო პირთა შორის ნამეტნავად მკვიდრთაგანნი არიან მღვდლებად რა გვიშლის, რომ ასე არ ვიქცევით აჭარლებისა—აფხაზების და ინგილოების შესახებაც?

ამასთან არ შეგვიძლია არა ვსთქვათ ისიც, რომ, ვგონებ, მწვალებელთა რიცხვი ჩვენს საქართველოში მეტის-მეტად გაზვიადებულია. მაგალითებრ ეხლანდელ მიღებულ სინოდის უქაზებიდამ სჩანს, ვითომ შორაპნის მაზრაში სამას მწვალებლამდე იყოს. ეს ამბავი სრულებით ტყუილია. მე დარწმუნებით ვიცი, რომ არც ერთი მწვალებელი შორაპნის მაზრაში არ არის. ქუთაისში არის რამდენიმე «სკოპცები» და სხვაგან ქუთაისის მაზრაში არსად არ არიან დამკვიდრებულნი მწვალებელნი.

ყოველს შემთხვევაში ძლიერ კარგი იქნება, რომ თფილისში დაარსდებოდეს კამიტეტი, რომელსაც დაევალებოდეს თვალყურის დევნა მწვალებელთა საქმის მსვლელობისა და დახმარების აღმოჩენა მრევლის მღვდელთადმი მისიონერულ საქმეში.

შემდეგ ყოველის მხრით გამოკვლევისა სამღვდელოების კრებამ უარი განაცხადა საშუალების უქონებლობისა გამო ეპარქიის საზოგადო მისიონერის დანიშვნაზე. მრევლის მღვდელთ დაავალა, შეძლებისა და გვარად, აღსრულება სამრევლოებში მისიონერთა მოვალეობისაცა.

«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია

გორი. ამ გიორგობისთვის 21-ს ქ. გორში აკურთხეს წმიდა მოციქულთა სწორის, ქართველთ განმანათლებელის ნინოს სახელობაზე ეკკლესია ამიერ კავკასიის საოსტატო სემინარიისა. აქამომდე მოხსენებულ სასწავლებელს არა ჰქონდა თავისი საკუთარი ეკკლესია, რის გამოც მისი შეგირდები დადიოდნენ წირვა-ლოცვაზე აქაურ საკრებულო ტაძარში. მაგრამ ამ ბოლოს დროს და მომეტებულად სახელმწიფო დღესასწაულებში, როდესაც ჯარით აივსებოდა ხოლმე მთელი ტაძარი, მოსწავლენი მეტის-მეტათ ვიწროვდებოდნენ, თავისუფლად დგომისა და სუნთქვის სახსარი ესპობოდათ; ამიტომ შეგირდებმა იწყეს სიარული ოქონის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში. მაგრამ ეს ეკკლესია, ჯერ ერთი რომ, კარგა მოშორებით არის სასწავლებელზე, რის გამოც ავდრიან დღეებში

უმაწვილებს უჭირდათ სიარული, ცივდებოდნენ და ხშირად აგათაც ხდებოდნენ; და მეორეც ისა, რომ ოქონის ტაძარი შატარაა და უქმე-ბედნიერ დღეებში თავის საკუთარ მრევლსაც ვერ იტევს ხოლმე. მოსწავლენი აქაც შევიწროებულნი იყვნენ. გარდა ყოველივე ამისა ამ მოსწავლეთათვის, როგორათაც მომავალ სოფლის სკოლების ოსტატებისთვის, საჭირო იყო ცოდნა, როგორათაც საეკლესიო წიგნების კითხვისა, აგრეთვე გალობისა და სამღვთო მსახურების რიგისა. რაღა თქმა უნდა, რომ ამ ცოდნასაც ისე ვერსად ვერ შეიძენდნენ, როგორათაც საკუთარს ეკლესიაში, სადაც ყოველ სამღვთო მსახურების აღსრულებაში იგინიც მიიღებენ შირდაშირ მონაწილეობას.

ამ მიზეზთა გამო მოხსენებულმა სასწავლებლის მთავრობამ ჯერ ისევ მარშან წინ იწყო ზრუნვა და ფიქრი ამ საგანზედ და როდესაც მის შესახებ ყოველივე გამოარკვია, მაშინდელ ექსარხოსს, ყოვლად უსამღვდელოეს შალლადის განუცხადა თავისი სურვილი. მღვდელ-მთავარმა მაშინათვე ლოცვა-კურთხევით ნება დასცა. ამის შემდეგ მთავრობა ამიერ კავკასიის საოსტატო სემინარიისა მხნედ შეუდგა ნებადართული საქმის განხორციელებასა... და აი ზემოთ მოხსენებულ დღეს კიდეც აკურთხეს ახალი ეკლესია. კურთხევაზედ ბლომათ დაესწრო აქაური მაღალი საზოგადოება. კურთხევის შემდეგ სემინარიის საღვთო სჯულის მასწავლებელმა მღვდელმა მ. ლაზ. ტურიევმა წარმოსთქვა დროს შესაფერი სიტყვა. პირველად შატივცემულმა მოძღვარმა განმარტა ის მაღალი მნიშვნელობა, რომელიც ძველის დროდგანვე მოუპოვებია საზოგადოთ ტაძარსა და განსაკუთრებით ქრისტიანულს ტაძარსა. შემდეგ გრძნობით სავსე სიტყვებით მოკლედ მოუთხრო ცხოვრება და მოდვაწეობა მოციქულთა სწორის ქართველთ განმანათლებელისა და ბოლოს შეავედრა მას ადმაშენებელნი ტაძრისა, მასწავლებელნი და მოსწავლენი სასწავლებლისა და ყოველი ქრისტიანენი, რომელნიც იმ დღეს ისმენდნენ ამ ეკლესიაში ღვთისადმი აღვლენილს ლოცვა-ვედრებასა. ქადაგებას მოჰყვა წირვა, რომლის დასასრულ იქ დამსწრე საზოგადოება სასწავლებლისაგან გამართულ სადილზე იქმნა მიწვეული.

შეგნებული ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა მეტის-მეტად ნასიამოვნები დარჩა ამ ეკლესიის კურთხევითა. ამიერიდგან ჩვენ გვექმნება ეკლესია მთელი საქართველოს ძვირფასი დედის სახელობაზე. საკვირველია, რაო მოჰქცევია ქართველი ერი ასე გულგრილად თავის დიდებულს განმანათლებელს? წმ. გიორგის ეკლესიებით მოფენილია ყოველი კუთხე ჩვენის ქვეყნისა, წმ. ნინოს ეკლესიებს კი ათასში ერთს ძლივს შეხვდება ადამიანი. მაგრამ არც კია გასაკვირველი! მუდამ ბრძოლის ველზე მდგომარე შეიარაღებულ ერს თავისივე შესაფერი ზეციური მფარველი და წინამძღვარი ეჭირვებოდა. წმიდა მთავარ-მოწამე გიორგის ხატი ბრწყინვალე სურათია თვით მრავალ ტანჯულ-წამებული სა. ქართველოს თავგანწირული ბრძოლისა. ესეც თავის ხანგრძლივ არსებობის ჟამს არა ერთ ვეშაპს შებრძოლებია!. ამასაც არა ერთხელ უდგრია თავისი წმინდა სისხლი იმავე მაცხოვრისათვის, რომელსაც შესწირა თავისი გმირული სიცოცხლე მთელი ქართველი ერის საუკარელმა წმიდანმა! ამიტომ ცხენზე მჯდომარე, შუბ მოდერებული გმირი, ეჭვი არ უნდა, უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩვენს მამა-პაპაზე, ვიდრე მშვიდობისა და სათნოების მქადაგებელი წმიდა დედა-კაცი!. დღეს ჩვენი ცხოვრების ჩარხი სრულებ სხვაგვარ მდგომარეობაშია: გარეგან მტერთა ძალმომრეობამ ბრძოლის ველიდამ გადმოგვრეკა და, თოფ-იარაღის მაგივრად, თითის ტარი მოგვცა ხელშია!. ამ ქვეყნიური სიბრძნე თხოულობს, რომ გონივრულად ვისარგებლოთ ყოველი გარემოებით. მშვიდად ვატრიალოთ ეს თითის ტარი და ნელ-ნელა ვახვიოთ მასზე მომავალი ბედ-იღბალი ჩვენის ქვეყნისა... იქნება, ღმერთმან ინებოს და ეს ნართიც ძვირფასად გამოადგეს ჩვენს შვილიშვილებსა.

არბოელი.

თვით-განვითარება მასწავლებლისა.

საზოგადოთ ყველასათვის და კერძოდ მასწავლებელთათვის თვით-განვითარება შეადგენს პირველს და ესაჭიროესს მოთხოვნილებას, რადგან მასწავლებელი, თუ თვითონ არ სწავლობს, ისე მას რიგიანათ არ შეუძლია ასწავლოს სხვას. რიგიანი არ არის ის მასწავლებელი, რომელიც მხოლოდ იმ სულიერი საზრდოთი კმაყოფილდება, რომელიც მან შეიძინა სასწავლებელში ⁄ ცხოვრებაში კი აღარ ცდილობს, რომ აღამაღლოს თავისი გონება და აცილდეს იმ წერტილს გონებითი წარმატებისას, რომელზედაც ის იდგა თავის მოვალეობის დასაწყისში.

მასწავლებლისათვის თვით-განვითარება, სხვათა შორის, აი რისთვის არის საჭირო: თვით განვითარებისადმი მიმდევარ მასწავლებელს ყოველთვის შეუძლია, რომ ნაყოფიერი გავლენა იქონიოს მოსწავლეებზედ; ვისაც მოსწავლეობა გამოუცდია, იმას კარგად ეცოდინება, თუ რა ხათრი, სიყვარული ⁄ მორიდება აქვსთ მოსწავლეებს იმ მასწავლებლისა, რომელიც ცნობის მოყვარეა ⁄ მიმდევარი თვით-განვითარებისა; პირველ-დაწყებით სკოლებშიდაც, როგორც გამოცდილებამ დამარწმუნა, მოსწავლეთა შორის ბევრნია ისეთები, რომელნიც, ცნობის მოყვარეობის გამო, მასწავლებელს თავისუფალ დროს ⁄ ხანდისხან გაკვეთილების დროსაც, აძლევენ სხვა ⁄ სხვა კითხვებს, რომლებიც ღირსნი არიან ყურადღებისა და მასწავლებლის მხრით ითხოვენ გონიერს ⁄ დაბიერი ენით განმარტებულს პასუხს. ამისთანა შემთხვევაში აღვილი მოსალოდნელია, რომ მასწავლებელმა უტყუარი პასუხის მიცემა ვერ შესძლოს, თუ ის თავის მოვალეობას მუყაითად არ ჰკიდია და ბავშვის მოტყუება ხომ დიდი ცოდვაა ⁄ სირცხვილი ⁄ მასთან ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ ტყუილს მოკლე ფეხი აქვს. ვსთქვათ, მასწავლებელმა მოატყუა მოსწავლე, მას სინიდისი შეაწუხებს, შინაგანათ დაიტანჯება იგი ⁄ ეს ტანჯვა-წვალება აშკარად გამოიხატება მასწავლებლის პირის სახეზედ, ვინაიდგან, როგორც იტყვიან, პირის სახე სარკეა სულისაო ⁄ შენიშვნა ცოტათი გონება გახსნილი მოწაფე მაშინვე შეგატყობს ამ სიცრუეს. ერთი-ორი ამისთანა შემთხვევის განმეორების შემდგომ მასწავლებლის ავტორიტეტი, ნდობა ⁄ გავლენა იკარგება მოწაფეთა თვალში. ამიტომაც არის ნათქვამი გამოცდილი პედაგოგებისაგან, რომ ვინც თვითონ არის გაჩერებული ერთს ადგილზე, მისთვის ძნელია, რომ სხვა წასწიოს წინ, ⁄ ვინც თვითონ არ გრძნობს სიყვარულს თვით-განვითარებისადმი, მას არასოდეს არ შეუძლია აღძრას სხვაში ეს თვისება, ვისაც დახშული აქვს ლტოლვა თვით-განვითარებისადმი, მას არ შეუძლიან აღაღორძინოს ⁄ აღამაღლოს სხვისი გონება ⁄ იქონიოს მასზედ შესაფერი გავლენა.

მასწავლებელი, თანახმად მაცხოვრის მცნებისა, უნდა ცდილობდეს, რომ იგი იყოს კარგი, პატიოსანი, სინიდისიერი, ღვთის მოშიში, მტკიცეთ იდგეს სარწმუნოებაზედ ⁄ როგორც პირი, რომელსაც თავისი თავი შეუწირავს ბავშვების აღზრდა-სწავლებისათვის, უნდა ცდილობდეს, რომ სწავლის საქმეში გაუმჯობესოს თავისი თავი, აიცილოს ის ნაკლი, რომელიც მას ეჩოთირება, თავის მოძმეებს არ ჩამორჩეს უკან და ცხოვრების ტალღებს მარდათ გაჭეყვეს წინ. ყველამ იცის, რომ მასწავლებლის თანამდებობა არის ცოცხალი ხელობა, ეს ხელობა თითქმის დღითი დღე ფერს იცვლის ⁄ წარმატებაში შედის, ამ ხელობის ერთ კალაპოტში ჩაყენება არ შეიძლება და, თუ კაცი ამ ხელობას კვალში არ მისდევს ⁄ გამჭრიახი გონებით არ ზომს, ისე უსათუოდ გზას ასცდება, რის გამო ველარც ახალს ცოდნას შეიძენს ⁄ ძველსაც დაივიწყებს, ვინაიდგან ცხადია, რომ ცოდნა ცოდნით შეიძინება და მოიპოება; თუ ძველ ცოდნას ახალი არ ემატება, ის მაშინ თავის სიახლეს და მიმზიდველობას ჰკარგავს და ამნაირად საჭერწლე ცოდნისა თანდათან იკლებს და ბოლოს სრულიად გამოცალიერდება, მასწავლებელი ხდება უღირსი მონა თავის ღირსებისა. ფსიხოლოგიური კანონია, რომ, რაც შეიძლება, ყმაწვილს ბავშვობისას უნდა აჩვენო ყოველთვის კარგი მაგალითები ცხოვრებისა, რომ ბავშვის ნორჩ წარმოდგენაზედ ცუდი გავლენა და შთაბეჭდი-

ლება არ იქონიოს რაიმე ცუდმა მაგალითმა. ამ ბუნებითი კანონის წინააღმდეგნიც არიან ის მასწავლებლები, რომლებიც მაგალითებით არ უმტკიცებენ მოსწავლეებს თვით-განვითარებას, რათა იგინი (მოსწავლეები) პატარაობიდგანვე შეეჩვიონ სხვა და სხვა სასარგებლო წიგნაკების კითხვას. რომ ჩვენ მასწავლებელთა შორის სურვილი იყოს თვით-განვითარებისა, მაშინ, დარწმუნებული ვართ, არც ასე ცუდი სკოლები გვექმნებოდა და არც ამისთანა ცუდ ნივთიერ მდგომარეობაში ვიქნებით თვით მასწავლებლები (ზოგიერთნი, განსაკუთრებით სამინისტრო სკოლების მასწავლებლები, მაგალ. ს—ის სასოფლო სკოლის მასწავლებელნი ნივთიერი გამდიდრებისათვის თვით-განვითარებას არავითარ ფასს არ აძლევენ, პირიქით ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ თავიანთ სკოლებში მეხანიკურათ რუსული ენა აზეპირებიონ, პირველ განყოფილებაშივე აძახონ „Богъ сотворилъ“ და ამითი დაიმსახურონ უმფროსების ყურადღება და ამ **მუჩიტელებმა** კი დიდ ჯამაგირიანი ადგილები მიიღონ). მე ნამდვილად ვიცი, რომ მასწავლებლები თავისუფალი დროდგან ერთ საათსაც არ სწირავენ თვით განვითარებას, ზოგიერთებს მეთოდიური წიგნების წაკითხვაც კი ეზარებათ, რის გამო ბევრმა მათგანმა არც კი იცის, როგორ ასწავლონ ბავშვებს ანბანი და ან როგორ ისარგებლონ ჩვენი სკოლებისთვის შედგენილი სახელმძღვანელოებით. საზოგადოთ ჩვენი სპეციალური სასწავლებლები ვერ გვაძლევენ რიგიანათ მომზადებულ მასწავლებლებს და მათ მაინც თუ თვით-განვითარებას ორივე ხელები მარჯვეთ არ ჩაჭიდეს, შენი მტერია, ჩვენს პატარა ბავშვებს ბედი დაადგებათ: ისინი, ნაცვლად გონიერი აღზრდისა, იძულებულნი იქნებიან დაემორჩილონ ძველებურ სხოლასტიკურ აღზრდა-სწავლებას ძველებურივე მეთოდით.

მთავარ-დიაკონი მ. ბუ—ძე.

ღია წერილი.

ვის მივმართო ამ ბარათით? ვინ დაუგდებს ყურს ამისთანა ბარათებს, თუ არა შენ, ჩემო ერთგულო მედავიანენე! ვის რათ უნდა ამისთანა ბარათების შინაარსი? ისინი, რომელნიც დიდ საგნებზედ სჯიან, მაღალი აზრებით და მაღალი სწავლით აღჭურვილან, ამისთანა ბარათების სათაურს რომ დახედენ, ცხვირს მაღლა ასწევენ და არც კი წაიკითხვენ, რომ სიმდაბლის (უვიცობის) სუნი არ გვეცესო! ისინი ხომ დაბლა არ იხედებიან! სულ მაღლა აქვთ მიმართული გონება, მაგრ მაღალ აზროვანი ტვინის ჭურჭელნი! მუდამ მნათობთა თავგადასავალის ვითარებაში არიან გართულნი, სულ მაღალ საგნებზედ ფიქრობენ და საბრალო ქვეყანა მათ მაღალ აზროვან ფიქრებში შეუმჩნეველი რჩება. ჩვენ უვიცნი რას ვიტყვით ისეთს, რომ მათ თავისი მაღლა მფრინავი აზრ-გონებანი ჩვენზედ მოაქციონ! მე არ მგონია, ჩემო ერთგულო, ისეთი რამ გაჭირვება დაადგეს ჩვენისთანა ბიჭ-ბუჭებს, ისეთი რამ საქვეყნო შემაძრწუნებელი რამე დატრიალდეს, რომ ისინი თავიანთ თბილ ოთახებს მოშორდნენ და ძმური ხელი მისცენ სანუკვეშოდ და გასამხნევებლად უვიცთა, რომელნიც მათ შეჰყურებენ—ვითარცა წინამძღვარსა ცხოვრებისა მათისასა!.

იქნება შენ იფიქრო: განა არ შეუძლიათ მათ, თავის ტახტიდამ რომ არ ჩამობრძანდნენ, ისედაც გვცენ ნუგეშიო?!—კარგი და პატიოსანი, ჩემო კეთილო, მაგრამ აკი გითხარი, სადა სცალიანთ მათ?! სულ აღმატების წყურვილის მორევში ყურყუმალაობენ. იმათ თავის «მე»-ს ერთგულობისათვის შეუფიცნიათ და აღთქმა მიუციათ, რომ არ უღალატონ მათ მუდამ საგონებელს «მე»-ს და სიტყვა «ჩვენ» მათ თავის „მე“-ს აღსამატებლად უმსხვერპლებიათ! სიტყვა «ჩვენ», რომლისათვის ყოველი პატიოსანი და ერთგული მამულის-შვილი ყოველი ქვეყნის კუთხისა დაუღალავად ილვწის, რომ წინ წასწიოს, სიბნელეს მოაშორეს და დააყენოს სანეტარო წერტილზედ, ამათ უარ-უყვიათ და, როგორც ზემოთ გითხარი, თავიანთ «მე»-ს აღსაფუფუნებლად, ფეხი დაუჭირებიათ! ეს კია ღვთის წინაშე, რომ, თუ რამე საერთო საქმეა და ამ საქმეს საწარმოებლად მოთავე ეპირვება, ამას არ დაიზარებენ! თავათაც დაუპატიჟებლად მიისწრაფიან,

რადგან აქედამ ე. ი. საზოგადო საქმის მეთაობისაგან, ხომ მოგეხსენებათ, წინ მსვლელობის კიბეზედ დგამენ ფეხს და თავიანთ მიზანს უფრო უახლოვდებიან!—თორემ ენერგიულად საქვეყნო საქმის წაყვანისათვის დიდათ არ სწუხდებიან. ან რისთვის შეიწუხონ თავი? ვინც საქვეყნო საქმისათვის თავდადებულნი იყვნენ, ხომ იცი, რა შეემთხვათ? მაგრამ აი რას ამბობს ჩვენი პოეტი:

ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი,
მას მოიგონებს შთამომავლობა,
და ამას ამბობს კს ჩემი ქნარი:
ვინც სამშობლოსა უქო კეთილი,
ჩვენი მამაცა მხოლოდ ის არი!

ის არის მამა მხოლოდ ის, ძმაო, თორემ:
არც კაცი კარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელსა კი არა რა არგოს.

და მეც ჩემით მივუმატებ: რა კაცია ის კაცი, რომელიც მარტო პირადი ინტერესებისათვის იღვწის, დღე და ღამ ალმატები წყურვილი ვერ მოუკლავს და საერთო ოჯახის გასამაგრებლად კი ერთ კენჭსაც არ გაისვრის?! ამისთანა ვაჟ-ბატონებს, შემიძლია, თამამად უპასუხო ჩვენი საყვარელი პოეტის გულსაგმირი (მეთლამი) სიტყვები:

ჩამოდგეგით! შორს, შორს ჩვენგან,
აგვიღია თქვენზედ ხელი,
შეგიტყეთ, რომ იუდა ხართ,
ნამდვილ ისკარიოტელი!
თქვენი მაეთ-მოქმეობა
ველარ გასჭრის, თქმა არ უნდა,
წაღმა წახვალთ. თუ უკუღმა,
მაინც ვიცით, ხართ იუდა!

უფრო სამწუხარო ისაა, რომ თითო-ოროლა ერთგული მოღვაწე, თავისის ქვეყნისა, მათ მიერ დევნულნი არიან. მათი ბოროტი ენით ფრთას სტეხენ ქვეყანაში მათ მოღვაწეობას. თითქოს ესენი სასირცხო საქმეს ჩადიოდენ, ისე ეჩხირებათ თვალში იმ ვაჟბატონებს—ამათი მოქმედება! იმათი აზრიდამ მიხვდები, რომ, თითქოს, ამათი მოღვაწეობა თამაშობა იყვეს, ან მეტიჩრობა, ანდა წყლის ნაყვა. ერთმა ჩემმა ძველმა ნაამხანაგარმა, რომელმაც გამაბედნიერა მისი მაღლიდამ გადმოხედვით და ცნობით (არ გიკვირს, ხელიც მომცა!) სხვათა შორის, მითხრა: «ქამნ-დავითნი და ლოცვანი შენ ეხლა ზეპირათ გეცოდინება! ჰო, მართლა, ეხლა თქვენ განათლებულები ხართ, „სათქვენო" გაზეთი მოგდისთ!» მე მივხვდი, რომელ გაზეთზედ მეუბნებოდა და მოვახსენე: თუ ის ერთად ერთი, როგორც თქვენ ბრძანებთ, «საჩვენო» გაზეთი არ ვარგა, «სათქვენო» როგორიღა გახლავსთ? არც ჩვენ მექავენ-დავითნ-ლოცვანელნი ვართ ისრე ყრუნი, რომ თეთრი შავისაგან ვერ გავარჩიოთ!..

ბევრი რამ მინდოდა მეთქვა ამ პირის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, კალამი ნებას არ მაძლევს.

შენი ერთგული თანამოძმე.

პასუხი ილია სიმონის მეს ჩხეიძეს.

შემდგომ ოთხის წლის ჩემის ს. ხორითში მსახურებისა, თანახმად ჩემის თხოვნისა, 1879 წელში მე გარდმოყვანილ ვიქმენ ყოვლად სამღვდელოს ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ ს. ობჩაში, იმ ეკლესიაზედ, სადაც მრევლად ირიცხებოდა ილია სიმ. ჩხეიძეც. ჩემდამო რწმუნებული ეკლესია იყო იმ ზომამდე უვარგისი, რომ სწორეთ ურიგო იყო მასში ღვთის-მსახურების შესრულება. მისი მეუფება, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, დღიდამ იმერეთში მობრძანებისა, ურჩევდა ამ მრევლს ახალი ეკლესიის აღშენებას. ექვსი მღვდელი გარდაიცვალა ამ ეკლესიაზე და ახალი ტაძრის აღშენება არ მოხერხდა ზოგიერთი პირების წყალობით. 1880 წელში დაკეტეს ეს ტაძარი და მოისპო მასში ღვთის-მსახურება. ამ წელში ეკლესიაზე მობრძანდა მისი მეუფება იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, სადაც ხალხი შეკრებილი დახვდა. მისმა მეუფებამ გამოუცხადა ხალხს, რომ მათ უსათუოდ ახალი ეკლესია აეშენებიათ. თუმც ეკლესიის შეკეთების ნება გვქონდა მოცემული მისი მეუფებისაგან, მაგრამ მე მაინც ვმეცადინობდი ახალი ეკლესიის აღშენებას და, მადლობა ღმერთს, ეს საქმე აღსრულდა ჩემს ხელში და ეკლესია აღშენდა. 1884 წელში გარდაიცვალა ჩემი ნათლის მამა გ. ს. მაცაბერიძე, და რადგან დამმარხველი

არავინ ჰყავდა, კეთილის მყოფლობა მე გაუწიე, 13 მან. დავახარჯე, და ყოველგვარი მღვდელ-მოქმედება უსასყიდლოდ აღესრულე, და ნაცვლად მისა, რომ ეთქვა ილია ჩხეიძეს, მღვდელმა კიკვაძემ კეთილი საქმე ქმნაო, გაზეთში დაბეჭდა: «მღვდელმა კიკვაძემ გლეხი საბა მაცაბერიძე არ აზიარა, რადგან გადამდები სნეულება სჭირდაო, გარდაიცვალა, და წესიუგებელი მიწაში აგდიაო. ამის მცნობელმა ყურადღება მიაქცია ამ ცნობას. გამოძიება დანიშნა და აიხსნა მრეველისაგან სიყალბე ი. ჩხეიძის დაბეჭდილი წერილისა. სამის წლის წინათ ამავე ჩხეიძემ თავისი ორის წლის ავათმყოფი ვაჟის ზიარება მთხოვა. ავათმყოფი არ ვაზიარე, ვინაიდგან მისთვის საჭირო არ იყო ზიარება. მაშინ ხომ განმირისხდა ბ. ჩხეიძე და ამ დღიდგან ყოველთვის ეძიებს ჩემში რაიმე საწინააღმდეგოს. «მწყემსი»-ს მე-18 №-ში სწერს ბ. ჩხეიძე: ყოველს სოფლებში, სოფლის მოხელეები და მღვდლები არიან თავიანთი მოვალეობის ჯეროვნად აღმსრულებელნი, და ს. ობჩაში არც სოფლის მოხელეები და არც მღვდლები არ ვარგანო. ბ. ჩხეიძე სწერს ივლისის დამლევს რიცხვებში: «გლეხს წყალმანკით ცოლი გარდაეცვალა, მღვდლის თანხმობით მიცვალებული ერთ დღე-ღამეს ეკკლესიაში დაასვენეს; მიცვალებულის გვამი დაიხსნა და წყლათ იქცა, ეკკლესია ააყროლა, მასში ვეღარავინ შედის, და ვინც შევიდა პირღებინება აუტყდაო». დედა-კაცი მშობიაროობით ავად გახდა, შეიდი დღის შემდგომ მკვდარი ბავშვი დაებადა, დიდი მეცადინეობით მეოთხე დღეზე მომყოლისგანაც გათავისუფლდა. ერთი კვირის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, მესამე დღეს საღამოზე გავასვენეთ, ეკკლესიაში წესი აუგვეთ და რადგან ხის ქვეშ საფლავის გაჭრა დაიწყეს, დაბრკოლება ნახეს და ვერ მოასწრეს საფლავის გაჭრა, მეორე დღეს დილით დავასაფლავეთ. ბ. ი. ჩხეიძე ბრძანებს: «მარიობის მარხვაში მაზიარებლები ცუდის სუნის მიზეზით ეკკლესიის გალავანში იყვენნო». როდის ბრძანდებოდა ეკკლესიაზე იმ მარხვაში ბ. კორრესპონდენტი, რომ მაზიარებლები გარეთ ნახა? «6 აგვისტოს ერთ პატიოსან პირს ეკკლესიაში ცუდის სუნისაგან პირღებინება აუტყდაო». ალბათ 1891 წელში, დიდ პარასკევს ც—ძის ასულს შემემთხვა ეს და ამავ წლის სექტემბრის 8-ს გ—ძ-ს ასულს შემემთხვა ესევე, და ერთს საათს უსულოდ ვგდენ, იქნება ეს მიაწერა მიცვალებულის ცუდ სუნს?! «მღვდელი კიკვაძე, დიდი ხანია, ს. ობჩაში არის და ხალხისათვის არ უნახავს კაცს, რომ მას რაიმე საქველმოქმედო საქმეზე შეგონება მიეცესო». ვინც ჩემ.ას ისმენს, შემგონებელი და დამრიგებელიც ვარ და ილია ჩხეიძე, არა თუ ჩემსას, არამედ ოთხმა პატრიარხმა და თორმეტმა მთავარ ეპისკოპოსმა რომ დაარიგოს, იმათსაც არას გაიგონებს. ბ. ჩხეიძე განაგრძობს: «მღვდელი კიკვაძე პირნათლად არ ემსახურება თავის მოვალეობასაო». ამაზედაც უნდა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა. დღიდამ ეკკლესიის აღშენებისა მე მოვიწვადინე ეკკლესიის გალავნის გაკეთება, მაგრამ ეს საქმე ეკკლესიის აღშენების საქმეზე უფრო საძნელოდ დამირჩა. ეკკლესიის ვალავნის გაკეთების თაობაზე ბლაღ. დეკ. მიხეილ მჭედლიძე ორჯერ მობრძანდა და შეაგონა ხალხს, მაგრამ ვერაფერი ვერ გაარიგა; შემდეგ ამის თაობაზე გაუგზავნა მიწერილობა ბაღდათის პოლიციის ბოქაულს. ბოქაულმა მამასახლისს მოანდო ხსენებულის საქმის შესრულება, მამასახლისი მოვიდა წარსულს წელში ეკკლესიაზე, შეკრიბა ხალხი, და აიძულა გლეხები ეკკლესიის ეზო შემოეღობათ, გლეხებმა და ზოგმა აზნაურებმაც თავ-თავისი ხვედრი შერაგვეს და ბ. ილია სიმონის ძის ჩხეიძის ხვედრი და ზოგი სხვებისაც დღესაც შეურაგვავად გახლავთ დაშთენილი. კარგი იქნებოდა ყოველ შემთხვევაში მისი სურვილი შემესრულებია, გლეხები შემეგონებია და მისი ხვედრი ღობე შემერაგვინებია, მაშინ დარწმუნებული ვარ, რომ მე არასფერს არ დამიწერდა.

ობჩის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი
არისტოულე კიკვაძე.

დრო გამოიცვალა.

„მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის“ (იოანე 10—11)

(ვუძღვნი ახალგაზრდა მღვდლებს).

(დასასრული *).

ნუ თუ ეს ახალგაზრდა მღვდლები არ გრძნობენ, რომ მხოლოდ გონების განათლებას და ზნეობის ამაღლებას შეუძლია ჩვენი ხალხის გამოხსნა იმ სიბნელისაგან, რომელსაც გარემოუცავს მისი ცხოვრება? ნუ თუ მათ არ იციან, რომ განათლების შუქს შეუძლია გაქარწყლება ზოგიერთ ისეთ ზნე-ჩვეულებისა, რომლებიც დიდათ მავნებელნი და საზარალონი არიან ჩვენი ხალხისათვის? რას შეუძლია ხალხში ცრუ-მორწმუნოების და ცუდი ჩვეულების მოსპობა, თუ არა გონებითი გაწრთვნას, სამწყსოს ზნეობრივ ამაღლებას, განვითარებას? სად შეიძლება მოძღვარმა სამწყსო გაწრთვნას ისე, როგორც ეკკლესიაში და იქვე სკოლაში მუდმივი ქადაგებით, სწავლებით და დარიგებით? ყოველ ხალხს თავისი ზნე-ჩვეულება და ცრუმორწმუნოება აქვს. ჩვეულებაც არის და ჩვეულებაც, ზოგიერთი ჩვეულება ხალხის ფიზიონომიას შეადგენს, მასში ნათლათ გამოსჩანს მისი ისტორიული ელფერი, ცხოვრების მსვლელობა; გავლენის ქვეშ ყოფნა და სხვა. ამ გვარ ჩვეულებას ნასწავლი მღვდელი მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს და მის მოსასპობლად არ უნდა შეიარაღდეს. ჩვენს ხალხს ისეთაც ბევრი აქვს ისეთი ჩვეულებანი და ცრუ-მორწმუნოებანი, რომლებიც არცხვენენ მათ და ანადგურებენ ნივთიერად. აი, შვილო, აქ არის ნასწავლი მოძღვრის მოვალეობა წინააღუდგეს ამ ფარულ სენს და ამოაგდოს იგი ძირიანად. ყოველი ჩვეულება შეზრდილ-შეხორცებულია ხალხთან. იგი შთამავალობით გადადის ერთიდგან მეორესთან და თუ მეცნიერებით აღჭურვილი შთამავალობა არ შეხვდა— მრავალ საუკუნეს იმოგზავრებს ასე. მაშ ჩვეულების უცებ შეტაკება და ამოფხვრა ძირიანად შეუძლებელია. რაც ას წლობით სწამს ხალხს, ჯერა და ემსახურება—ორ-სამ თთვეში, ან ერთ წელიწად მიდაც შეუძლებელია მოსპო. ეს ზოგიერთ ახალგაზრდა მღვდლებს არ გჯერათ, და მიხვალთ თუ არა სამწყსოში, გსურსთ ყველაფერს ერთად წინააღუდგეთ. არა, შვილო, საჭიროა მოიცადოთ, გაიცნოთ ხალხი, უქადაგოთ მათ ეკკლესიაში, ასწავლოთ მათ სკოლებში და ამგვარად მოამზადოთ, მიიყვანოთ იმ გონებით გახსნილობამდის, რომ თვითონვე დარწმუნდნენ თავიანთ საქციელში; თვითონვე მიხვდნენ და სთქვან, რომ ესა და ეს ჩვეულება სწორეთ სისულელე და ჩვენთვის საზარალო ყოფილა. აი მაშინ გაიხარებს მისი მოძღვრის გული, აი მაშინ გამხნევდება და უმატებს ქადაგებას მღვდელი, როდესაც ასეთ მიზანს მიაღწევს. ამის შემდეგ არც უთავბოლო საჩივრები მღვდლებზედ, არც სიძულვილი და არც არა სხვა რამე უსიამოვნება არ იქნება მოძღვარსა და სამწყსოს შორის.

რამდენი კეთილი საქმის გაკეთება შეუძლია სოფლის მღვდელს ხალხში, თუ გულით ემსახურება თავის მაღალ მოწოდებას. აი, თუ გინდ, ავიღოთ ის საზოგადო სენი, რომელსაც მაგრათ გაუდგამს ფესვები ჩვენს საზოგადოებაში. მე, შვილო, იმ სინდისის სიდამლეზედ—მექრთამობაზე გეუბნები, რომელიც ასე ამდაბლებს ადამიანის ზნეობას და ღუპავს, ავალიანებს დაბალ გლეხობას. ნუ თუ ამ სენის ამოფხვრა ან ცოტაოდენ შესუსტება მაინც არ შეუძლია მოძღვარს და ისიც კიდევ ნასწავლ სემინარიელ ახალგაზდა მღვდელს? შეუძლია, როგორ არა, მაგრამ ან სულ არ აქცევს ამ მხარეს ყურადღებას და ან მოსპობის მაგიერ თვითონ შველის მის განვითარებას, მის კიდევ უფრო გავრცელებას ხალხში. ქრთამის აღების შესახებ ერთგვარი შეხედულობა არის ხალხში. წვრილ ჩინოვნიკების და სოფლის მოხელეების შეწეობით ხალხი იმ ღრმა რწმენამდის მისულა, რომ ვერ დააჯერებ, თუ საზოგადო ასპარეზზედ სამსახური შეიძლება ისე, რომ ქრთამი არ აიღოვო. ხალხს ამაში ვერ დააჯერებ და სიმართლეს რომ ეუბნებოდე, მაინც გიხმობს გვერდზედ და «მიმსახურეთ, ბატონო, გამიკეთეთ ეს საქმეო», გეუბნება.

ისედაც გაღატაკებული ხალხი ამ სამხედრო მეგარამ კიდევ უფრო გაათახსირა. ვინ არ სარგებლობს ხალხის უმეცრებით. გაიძვერა წვრილფეხ ჩინოვნიკობა და სოფლის «აბლაკატები» საიდგანღაც ტყუბილობენ „სალდათად“ გამოსაყვან სიგებს; მადიან

---

* იხ. «მწყემსი»-ს № 21, 1893 წ.

გლეხებში, აძლევენ პირობას, რომ მე დაგიხსნი შვილს სალდათობისაგან და რას მომცემო? «გაჭიერებული კაცი ხავსს ეკიდებოდა» ნათქვამია. გლეხიც იხდის ასს—ორასს მანეთს და სრულებით კმაყოფილი ბრუნდება შინ თავის შვილითურთ, რომელიც, ვითომც იმდენს ეცადა, დააბრუნებია, ის კი არა თუ მისს შვილს ისედაც საღავათი ჰქონდა—და გაანთავისუფლებდნენ. აჰ აი რა დახმარება შეუძლია ახალგაზდა ნასწავლ მღვდელს? თუ ის ნამდვილი მოძღვარია და მამა თავის სამწყოსი, ასე უნდა მოიქცეს: გადმოიწეროს სამხედრო წესების ის მუხლები, რომლებიც ჯარის კაცების გამოწვევას ეხება, გადმოთარგმნოს და ყოველ წელიწადს შემოდგომაზედ ნაწირევებს აუხსნას ხალხს: რას ნიშნავს საღავათი, ვის შვილს წაიყვანებენ, თუ ჯერი შეხედა და ეისას არა. ეს მღვდელმა, ადვილი შესაძლებელია, იცოდეს, მაგრამ, საუბედუროდ, არამც თუ ასე იქცევიან ზოგიერთი მღვდლები, არამედ თვითონაც არ იციან კარგათ ეს წესდებულებანი.

— ეს, თუ გინდ, ასე იყოს, მაგრამ ეს ძველი მღვდლები ჩვენ რით გვჯობდნენ? ნუ თუ ჩვენზედ უკეთესად ემსახურებოდნენ ხალხს, რომ ასე აღტაცებით იგონებს იმ ნეტარ დროს, როდესაც მას მოძღვრად ძველი მღვდელი ჰყავდა? გააწყვეტია სიტყვა მამა ილარიონმა.

— აი, ეს რას უნდა მიეაწეროთ, შვილო! ეს დროს და განათლების ბრალია და არა მარტო თქვენი; თუმც არც თქვენ გიძევსთ ამ მძიმე საქმეში ცოტაოდენი წილი.

ვის შეუძლია ხალხს შეაყვაროს სკოლა, თუ არა მის კეთილ მასწავლებელს? ვის შეუძლია ხალხის თვალში აღამაღლოს და გაადიდოს ქრისტეს სარწმუნოების და წმიდა ეკლესიის მაღალი დანიშნულება და მნიშვნელობა, თუ არა გონიერს და სასოებით სავსე მოძღვარს—სოფლის მღვდელს? ჩვენს ხალხს ერთგვარი შეხედულობა აქვს მღვდლის პირადობის შესახებ. ეს შეხედულობა დროთა გამო განხორციელებულა მასში.

ნუ თუ, შვილო, შენს სოფელში ერთხელ მაინც არ მოგიკრავს ყური ხალხის თქმულებისათვის; პატიოსან, ბრძენ და სასოებით სავსე პირზედ იტყვიან ხოლმე ჩვენში: «სწორედ სამღვდელო ადამიანია ეს ჩვენი მეზობელი იყანე, ან ოქროპირიო».

სამღვდელო პირები ჩვენს დროს თითქმის განგებ ირჩეოდნენ საზოგადოებიდგან. ყველა სიკეთილის შვილს არ შეეძლო სამღვდელოთ მომზადებულიყო. მათ თავისის დარბაისულ ცხოვრებით, ზნეობრივ ოჯახის შვილობით, მტკიცე ხასიათით და წყნარის ყოფაქცევით საზოგადოება თითქმის პატარაობიდგანვე იცნობდა. ეგი სრულებით დაბრძენებული, დავაქკაცებული ანუ, როგორც იტყვიან, დამდგარის ხასიათის იყვნენ მაშინ, როდესაც მოძღვრებათ ხელდასხმული ქრისტეს ყანაში საშრომლად მწესდებოდნენ. მათი ამგვარი ხასიათი ხალხზედაც შესამჩნევ კვალს აჩენდა და ხალხს უნებლიეთ ებადებოდა თავისი მოძღვრის სიყვარული, პატივისცემა. გულმოდგინეთ უსმენდა წირვა-ლოცვას, რადგან თავის მოძღვრის ცხოვრებაში ვერაფერს ბიწიერებას ვერ ჰხედავდა, ვერც წარსულში და ვერც აწმყოში. თუმც დღევანდელი მღვდლები, საბედნიეროდ, გონება გახსნილები ბრძანდებით: სემინარიის განათლებით აღჭურვილი და ვითომ მომზადებულებიც, მაგრამ რა სასოება მოუვა მოხუცებულ გლეხს იმ ახალგაზრდა მღვდლისა, რომელსაც 21 თუ 22 წელიწადი ჯერ კიდევ არ შესრულებია, პირზედ ბალანი არ ეტყობა და ყმაწვილური გამტაკი ოცნებანი უფრო სხვა მხრივ იპატიჟებენ, იზიდავენ მას, ვიდრე თავის პირ და პირ მძიმე მოწოდებისადმი!!.

შენც დამერწმუნები, ჩემო ილარიონ, რომ ბევრი შენი ამხანაგებთაგანი სრულებით თავის სურვილის და მიმართულების წინააღმდეგ მიდიან სოფლის მღვდლებად. როგორ შეაყვარებს ისეთი მღვდელი თავს ან ეკლესიას, რომელიც თვითონ არ უყვარს, რომელიც კითხვის დროს ამ სიტყვებით იმართლებს თავს: «მაშ რა მექნა, შიმშილით ხომ არ მოვკვდებოდი. მეტი გზა არ იყო, მღვდლად უნდა წავსულიყავო».

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დღევანდელი კურთხევის წესებიც დიდათ მოქმედობენ ჩვენი ხალხის შეხედულობაზედ. ნუ თუ სამწყსომ არ იცის, რა საშუალებით ჰპოულობს დღევანდელი მღვდელი შეძლებულ სამწყოს. ნუ თუ ჰფიქრობთ, ხალხი ვერ გრძნობს იმას, რომ ზოგიერთი მღვდლები თავის სამწყოს, სამრევლოს თითქმის მამასისხლად ყიდულობენ. ეს სასყიდელი მღვდელს აუარებელი სარგებლით კისერზედ აწვება და ამგვარი გაჭირვება მღვდლისა, ვინ არ იცის, რომ მისი მრევლის საჭაპანწყვეტო შეიქნება აღრე, თუ გვიან. ამგვარ ხრიკებით და უკუღმართ გზებით შესულ მოძღვარს, რა გასაკვირ-

ველია, შვილო, რომ ხალხიც დაუნდობელის თვალით უცქეროდეს. ბევრგვარია, შვილო, დღევანდელი ჩვენი ხალხის გულციობის მიზეზები, მაგრამ ერთ უმთავრეს მიზეზად ჩვენი დღევანდელი ცხოვრების გადასხვაფერება ჩაითვლება. დღევანდელი ჩვენი ცხოვრების ჩარხი სრულებით სხვანაირად ტრიალებს. ჩვენი ცხოვრება სრულებით არ წააგავს ჩვენ მამა-პაპათა ცხოვრებას და ამ ცხოვრებასთან, რასაკვირველია, ხალხიც გადაკეთდა—გადასხვაფერდა. აბა გადაავლე თვალი ძველებურ ცხოვრებას, დააკვირდი მას კარგათ და დარწმუნდები, რომ თუ დღეს თვეში რამოდენიმე კაცის მოკვლა, დაჩეხვა-გაგლეჯვა გესმის— უწინდელ დროში ეს შეიძლება ათ წელიწადში ერთხელ მოხდებოდა, ისიც უცაბედად და არა შურით, მოძმის სიძულვილით.

მაშინ თუ სავსე იყო სხვა და სხვა დაწესებულებათა მოსამსახურე პირებით ჩვენი ეკკლესიები— დღეს მაგიერ ერთსაც ვერ ჰხედავთ მათგან ეკკლესიაში. ინტელიგენციას, საზოგადოების განათლებულ ნაწილსაც დიდი გავლენა აქვს ამ შემთხვევაში. უმეცარი ხალხი განათლებულებს უყურებს. თუ რომელიმე სასამართლოს უფროსი ხშირად დაბრძანდება ეკკლესიაში, იქწვრილფეხი «ჩინოვნიკობაც» ხშირად დადის. ეს თითქმის ყველგან შემჩნეულია. ამის მიზეზები, შვილო, ძლიერ ბევრია, მთელი ჩვენი სოციალური წეს-წყობილება, ეკონომიური მდგომარეობა ჩვენი საზოგადოებისა, თვით პირადობა მოძღვრისა ძრიელ ბევრს მასალას იძლევა ამ მიზეზების გასამართებლად, მაგრამ ამ მოკლე საუბრით არ ძალმიძს, შვილო, ყველაფერი დაწვრილებით გაგიმარტო, მხოლოდ გირჩევ უმთავრესი მიზეზები ისევ შენს პირადობაში და ნამდვილ ცხოვრებაში ეძიე და მერწმუნე, შენი ცხოვრება და საზოგადოების მდგომარეობის დაკვირება უტყუარ დამტკიცებებს მოგცემს ამის შესახებ.

კიდევ ბევრი მაქვს, შვილო, შენთან სალაპარაკო, მაგრამ ამაღამ ესეც კმარა. იმედი მაქვს ჩემი საუბრით ისარგებლებ და შენს სამწყსოში ჩანერგავ ნამდვილ, პატიოსან მოძღვრის სიყვარულს და პატივისცემას. უთხრა ეს მ. იოანემ თავის ახალგაზრდა სიძეს, მ. ილარიონს, შემდეგ მოკიდა ხელი, მეორე ოთახში შეიყვანა და ორივენი ვახშამს შეექცნენ. ვახშმის დროსაც, დრო გამოშვებით, ჩამოუგდებდა ხოლმე ლაპარაკს მ. ილარიონი ამავე საგანზედ, მაგრამ მოუცლელობისა გამო, მ. იოანე მარტო ამ სიტყვებს იმეორებდა:

«დრო გამოიცვალა, შვილო, დრო!»

თეოფ. ხუსკივაძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

კვირას, 12 დეკემბერს, აკურთხეს ქუთაისის სამეურნეო სკოლა. ამ სკოლაში სწავლა 1 დეკემბრიდამ დაიწყო, მაგრამ სკოლის კურთხევა ამ დღისათვის იყო დანიშნული. დილის 12 საათზედ სკოლაში მობრძანდა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი და შეუდგა სკოლის კურთხევას. პარაკლისის დროს გალობდნენ თვითონ ამ სასწავლებლის მოსწავლენი ბ. ან. ბენაევის ლოტბარობით. სკოლის კურთხევას დაესწრო ბ. ქუთაიის სამხედრო გუბერნატორი და ყველა წოდების წარმომადგენელნი და დიდძალი გარეშე ხალხი. სკოლის კურთხევის შემდეგ ამ სკოლის მზრუნველმა ბ. ხოჯაევმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოიხსენა ისტორია ამ სამეურნეო სკოლის დაარსებისა. ბ. ხოჯაევის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ბ. ლ. ნ. ასათიანმა, რომელმაც განუმარტა შეკრებილ საზოგადოებას მთავრობის ზრუნვა ამ ახლად დაარსებული სკოლის შესახებ. ბოლოს გრძელი და დიდმნიშვნელობიანი სიტყვა წარმოსთქვა ბ. დ. ნ. ბაქრაძემ, რომელმაც ვრცლად მოუთხრო საზოგადოებას, თუ რა მდგომარეობაში იყო მეურნეობა ჩვენს საქართველოში ძველის დროიდგან დღემდე. ბ. ბაქრაძის ეს საყურადღებო სიტყვა დაიბეჭდება ჩვენს გამოცემაში.

სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მრავალი საპატიო პირნი მიპატიჟებულ იქმნენ სკოლის კამიტეტისაგან ჩაიზე. ამ დღეს სასწავლებლის კამიტეტმა მრავალი მილოცვის ტელეგრამები მიიღო სხვა-და-სხვა კუთხიდამ.

* *
*

30 ნოემბერს თბილისის სასულიერო სემინარიაში მოხდა წლიური ანგარიში ამავე სემინარიაში „ანდრია პირველ-წოდებულის სახელობაზე დაარსებული ძმობისა". ამ დღეს სემინარიის ეკკლესიაში სწირა საქართველოს ექსარხოსმა, ვლადიმირმა. წირვის შესრულების შემდეგ მათი მეუფება შებრძანდა სემინარიის შესაკრებელ დარბაზში. აქ მ. რექტორმა

წაიკითხა წლიური ანგარიში სემინარიის შესახებ, ხოლო მღვ. მ. ბერძენოვმა წაიკითხა ხსენებული «ძმობის» ანგარიში. მასწავლებელმა ბულლაკოვმა წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიაც გაცნო შეკრებილი საზოგადოება «ბაბტისტების» სწავლა-მოძღვრებას და მისს სვე-ბედს თავიდამ მოყოლებული დღემდე. კრებაზე დაესწრო კავკასიის სამოსწავლებლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი და სხვა მრავალნი პირნიც. აქტის გათავების შემდეგ მათი მეუფება და სხვა საპატიო პირნი მიწვეულ იქმნენ საუზმეზე მ. რექტორისაგან.

*
* *

დეკემბრის 1, 2 და 3 რიცხვებში სემინარიის ყველა მოსწავლეებმა თავი დაანებეს სწავლას. თხოვნა მიართვეს მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს ექსარხოსს ელადიმირს. მოწაფენი სთხოვენ მათ მეუფებას, მოაშოროს სემინარიას სამიოდე მოსამსახურე პირი, რომელნიც, მოწაფეების ჩვენებით, ვითომც ფიცხლად ეპყრობიან მათ. თხოვნის აღსრულება არ მოხერხდა და ამის გამო მოწაფეები კლასებში აღარ შედიოდნენ. ეს ამბავი მოხსენდა უწმ. სინოდის ობერ-პროკურორს, რომელმაც ბრძანა მოწაფეების დათხოვნა ახალი განკარგულების მოხდენამდე. ამასთანავე დაინიშნა ამ საქმის გამოსაძიებლად რევიზორი ბ. ნეჩაევი.

* *
*

თბილისის მიხეილის საავადმყოფოში 11 ამა დეკემბრის რიცხვს გარდაიცვალა ბ. ალექსანდრე ყაზბეგი. ამ ახალ-გაზდა ბელეტრისტის დაკარგვა სამწუხაროა მთელი საქართველოსათვის. ალექსანდრე ყაზბეგი ჯერ კიდევ ახალ-გაზდა იყო, მაგრამ თავისი ნაწერებით ისეთი კვალი დაამჩნია ქართულს ლიტერატურას, რომ იგი უკვდავი იქნება, სანამ კი ქართველობა არ მოისპობა.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

თაფლის წყარონი.

(გაგრძელება *)

არ შეაძლება დავსთანხმდეთ იმ აზრს, რომ რაც თანდათან ადამიანი ბუნებას ერევა და სპობს ტყემინდვრებს, აქცევს მას ბაღებად და ყანებად, მეფუტკრეობა უკან და უკან მიდის. ამისათვის მრავალი მეფუტკრეები სინანულით იგონებენ ძველ დროს და ამტკიცებენ, რომ აწ იმ სარგებლობას არ უნდა მოველოდეთ მეფუტკრეობიდამ, რაც ყოფილა ოდესმე. მაგრამ იმასაც არ უნდა ვიეიწყებდეთ, რომ ადამიანი ბუნებისაგან დასაჩუქრებულია დიდი ნიჭიერებით, რომლის შემწეობით მას შეუძლია ერთი ორად და სამად ამოიგოს ის, რაც დაჰკარგა მან ველური მცენარეების გაწყობით; მას შეუძლია გაამშენოს თესვით თაფლით მდიდარი მცენარეები; შეუძლია, მეფუტკრეობას გონიერულად მოჰკიდოს ხელი და არ გაიხადოს მოსაგონებლად ძველ დროება. ველურ მცენარეობას, მართალია, შეუძლია ბევრი თაფლი მისცეს ფუტკარს, მაგრამ მშრომელი და რიგიანად მცოდნე მეფუტკრე ადვილად გაამშენებს კარგ თაფლის მომცემ ბალახებს და ისე დროს შერჩევით, რომ მთელი ზაფხულის ვანმავლობაში მუდამ ეშოვებოდეს ფუტკრებს თაფლი და არ ზარმაცობდენ მაშინ, როდესაც ბუნება ასე დროს შერჩევით თაფლს ვერ მისცემს.

გარდა ყვავილებისა ცოტა თაფლი არ იკრიბება ფოთლებიდგანაც, ნამეტურ გოლვის დროს; მას ქართულად უწოდებენ «თაფლის მანანას».

შინაგანი შენობა სკისა და მუშაობა ფუტკრებისა.

მთელ შინაგან სკის შენობას ამზადებენ ფუტკრები წმინდა სანთლიდგან, ფიჭებს (სარაჭებს) აკვრენ

* იხ. «მწყემსი»-ს; მე-20 №, 1893 წ.

სკის ქერზედ და ჩაჰყავსთ ძირს გასაოცარი სისწორით. ფიჭები წაეწყობიან ერთი მეორეზედ $^3/_{11}$ გოჯის სიშორით. მათ შორის შუა თავისუფალი ადგილი იწოდება ფიჭის ქუჩად. თუ უკანასკნელი საფრენი თვალის პირდაპირაა, მაშინ ფიჭების შენობა ცივია, თუ ქუჩა არდიგარდაა და საფრენი თვალი ფიჭის გვერდზეა, მაშინ შენობა თფილია. პირველ შენობიან სკებში ფუტკრები შესვლის დროს პირდაპირ ქუჩებში მოხვდებიან, ცივ შენობიან სკებში კი ფიჭებს უნდა შემოუარონ და მეორე გვერდიდგან მოძებნონ ქუჩები. ფიჭა ანუ სარაჭი შესდგება ერთი მეორეზე წაწყობილ ბუდეებისაგან, რომელნიც თავის დანიშნულებით და არსებობით იყოფებიან მუშა ფუტკრის და მამალის ბუდეებად. ფუტკრისა და მამალი ფუტკრის ბუდეები ძალიან შესამჩნევად განირჩევიან ერთი მეორისაგან. გასამაგრებელი ბუდეებით ფიჭები ეკვრება და ჰკიდება სკის ქერზედ და გვერდებზედ.

ფიჭებს სკაში აშენებენ ფუტკრები, როგორც ზევითაა ნათქვამი, მაღლიდგან ძირს, ძალიან ძვირად ძირიდგან მაღლა. ნაყრები და განაყოფები ჯერეთ აშენებენ საბარტყე ბუდეებს, რომლებშიაც აგრეთვე აგროვებენ თაფლსაც. უდედო და მონავრის დედოიანი სკები სულ ყოველთვის აკეთებენ მონავრის ფიჭებს. მუშა ფუტკრების ფიჭები (ბუდეები, როდესაც შიგ ბარტყებია), იბეჭდებიან ფუტკრებისაგან ვაკე, სწორი თავსახურავით, მონავრის კი—გამობერილი, უსწორ-მასწორი თავსახურავით.

ყოველი მატლი ფუტკრისა დაპარკების დროს სტოვებს თავის პერანგს ბუდეში, რომელიც ეკვრება მის კედლებზე, ამისათვის, რაც უფრო ბევრჯერ გამოტყდება ერთსა და იმავე ბუდეში ბარტყი, ისე უფრო ბევრი პერანგი რჩება შიგ და თან და თან ვიწროვდება. ამისთანა ბუდეებიდგან გამოსული ფუტკრები შესამჩნევად ნაკლებია ტანით. ამისათვის მეფუტკრე უნდა სცდილობდეს ძალიან ძველი ფიჭები სკებიდგან გააძიოს. რაც უფრო ძველია ფიჭა, ისე უფრო ფერ გადაკრულია; რამოდენიმე წლის განმავლობაში კი სრულიად შავდება.

თაფლის შესანახ ჭურჭლად იხმარება, როგორც მუშა ფუტკრის, აგრეთვე მონავრის ფიჭებიც. ამ უკანასკნელ დროს მეფუტკრეებმა შემოიღეს საშუალება (მანქანები) ხელოვნური ფიჭის საკეთებლად. გონივრულ მეფუტკრეობაში ხელოვნურ ფიჭას დიდი მნიშვნელობა აქვს. ვისაც ნამდვილი ფიჭები ბევრი აქვს, მაშინ ხელოვნური ფიჭა იმოდენად საჭირო აღარ არის, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში კი უკანასკნელი მიუცილებლად საჭიროა. ხელოვნური ფიჭა დიდს სალავათს აძლევს ფუტკრებს მუშაობაში და ხელს უწყობს თაფლის შენახვის დროს. ნახევარ გირვანქა წმინდა სანთლის (რომლისაგან ფუტკრები აგებენ ფიჭებს) გაკეთებას უნდება, ამბობენ გამოცდილი მეფუტკრეები, ათი გირვანქა თაფლის მონელება გარდა რამოდენიმე ყვავილის ფქვილისა. სულ რომ ძალიან დავამციროთ ეს რიცხვი, მაინც მრავალ თაფლს დაზოგავს მცოდნე და მოხერხებული მეფუტკრე ხელის შეწყობით და ტყუილ უბრალოდ არ დაახარჯვინებს მას. ძალიან სცდება, ვინც ამტკიცებს, რომ ფუტკრები არ საჭიროებენ მზა ფიჭას, რადგანაც თვითონაც კარგად აკეთებენო და არც ისე ეძნელებათ მისი შენებაო. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თაფლის ძლიერი საშოვრობის დროს ერთ სკაში ჩავაწყობთ ცარიელს და მეორეში ფიჭიან ჩარჩოებს. სანამ პირველში ფუტკრები ფიჭებს დაამზადებდენ, მეორეში ორჯერ-სამჯერ შეგვიძლია დავსცალოთ თაფლით ახლად გავსილი ფიჭები. გარდა ამისა ფიჭების მზადების დროს ფუტკრები სცდებიან თაფლის მოტანაზე და ესეც ცოტა ზარალს არ აძლევს მეფუტკრეს. მეფუტკრე უნდა სცდილობდეს, რაც შეიძლება, სრული შენობა იქმნეს სკაში, თუმცა სრულიად განთავისუფლება ფუტკრებისა ფიჭების კეთებიდგან საზარალო იქნება.

ავადმყოფობა ფუტკრებისა

ყოველმა მეფუტკრემ უნდა იცოდეს როგორც ავადმყოფობა ფუტკრებისა, აგრეთვე საშუალებანი მათ წინაალმდეგ. მათ შორის მეტად მავნებელი არის, ეგრედ წოდებული, მყაყი ანუ ფუტკრის ჭამი.

მ ყ ა ყ ი

მყაყი არის ორგვარი—ხმელი და ნედლი. ხმელი მდგომარეობს მასში, რომ ბარტყები, როდესაც ჯერეთ კიდევ მატლებად არიან და სძევლან ბუდის ძირზე, ჰკვდებიან? სიკვდილის შემდეგ იხრწნებიან, ლპებიან და უშვებენ მჟავე მავნებელ სუნს. სანამ ამგვარი

მყაყი არ გალონიერებულა და არ მიუღია ჯლანის წეპოს სუნი, ძლიერ მავნებელი არ არის, ფუტკრებს ადვილად შეუძლიათ გასწმინდონ სკა. არც გადაედება სხვა სკებს, თუ ავადმყოფი ფიჭა შეცთომით არ ჩასდევით სალ სკაში. ხმელი მყაყი ზოგიერთ ხელის შემწყობ გარემოებაში გადაიქცევა ხოლმე ნედლ, ძლიერ მავნებელ სენად—ფუტკრის ქამად, რომელიც სწრაფად გადაედება და მოიცავს მთელ სკებს. განდევნა ამ სენისა და განწმენდა სკისა შეუძლებელი შეიქნება ფუტკრებისათვის და ძალიან საძნელო თვით კარგა გამოცდილ მეფუტკრისათვისაც. უკანასკნელ შემთხვევაში უმრავლესობა ბარტყებისა კვდება ბარტყობის წინედ, ანუ იმ დროს; ბუდეების თავსახურები ჩაიდრიკებიან შიგნისაკენ და გაუჩნდებათ ჭურჭუტანები. რომ გახსნათ ამისთანა ბუდე (მოაძროთ თავსახურავი), შიგ შეამჩნევთ შავს, წეპოს მსგავს უსიამოვნო სუნის სითხეს, ტალახად გარდაქცეულს, რომელიც შემდეგ დაახმება ბუდის ძროს. ამისთანა ბუდეების გაწმენდა აძლევს ფუტკრებს იმდენ მუშაობას, რომ ხშირად მათ დასჭირდებათ ხოლმე მთელი ფიჭების წახდენა, დაგლეჯა და გადაყრა გარედ, რომ გადარჩნენ გადამდები მყრალი სიდამპლისაგან. სანამ გაძლიერდებოდეს სენი, ღონიერ სკას შეუძლია ებრძოლოს მას, მაგრამ უმეტეს ნაწილად ამის შედეგია თანდათან დასუსტება და ბოლოს სრულიად მოსპობა ოჯახისა.

მყაყის (ქამის) წამლობას უნდა შეუდგე დაუყონებლივ და ფრთხილად ექცეოდე სალ სკებს, რომ ალარსად გაჩნდეს; მიუცილებლად საჭიროა ავადმყოფი სკების გადატანა საფუტკრიდამ და იმ ადგილებზე, სადაც ისინი იდგნენ, კარის მოყრა. თუ წაყვანა არსად მოხერხდება და წამლობაც შეუძლებელია, მაშინ სჯობს ისინი დასწყვიტოთ გოგირდით, ბუდე დაანგრიოთ და გადაადუღოთ როგორც სანთელი, ისე თაფლი. დაცარიელებული სკები გარეცხეთ კირნარევი ნაცარწმენდილით, მერმე წმინდა წყლით და ბოლოს უნდა უხრჩოლოთ ისევ გოგირდი, რის შემდეგ დაიჭვეტება და ისე დარჩება ერთ დღე და ღამეს. ამის შემდეგ სკაში ისევ შეიძლება შეუშვათ ფუტკარი, მაგრამ სიფრთხილისათვის სჯობია მეორე წლამდის ელარ იხმაროთ. წამლობის დროს უშიშრად შეგიძლიათ ამოიყვანოთ დედო ავადმყოფი სკიდგან და სხვაგან იხმაროთ, მაგალითად, ხელოვნურ ნაყრებში ანუ უდედო სკებში, მხოლოდ მუშა ფუტკრებს კი უნდა მოერიდოთ, მათ ადვილად შეუძლიათ გადაიტანონ თან სენი. დედოს წართმევის შემდეგ ავათმყოფი ოჯახები უდედოდ დარჩებიან, სანამ ახალს გამოიყვანდნენ, ბარტყობა შესწყდება დროებით და სუნიც შესუსტდება. ამ დროს ავადმყოფებს უხრჩოლებენ და აჭმევენ სალიცილის სიმჟავეს. ის ძვირი არ არის და შესახედავათ თეთრი ფხვნილია; იშოვით ყველგან აფთექებში და აფთიაქის მაღაზიებში. სახრჩოლებლად უნდა გაახუროთ მუშტისოდენა აგურის ნატეხი (არ გაწითლდეს-კი), დასდოთ ცივს იმისთანა ნატეხზევე და ორივე დასდოთ სკის ძირში და ზევიდამ ცხელ ნატეხზედ დააყაროთ მეექვსედი მისხალი სალიცილის სიმჟავისა. ზევით უნდა გადააფაროთ რკინის ანუ რისამე ბადე, რომ ფუტკრები ზედ არ დასცვივდნენ და არ დაიწვან. სკა ამის შემდეგ ჭიდროდ დაჭმანეთ, მხოლოდ საფრენი თვლები დაუტოვეთ ღია. ამნაირად უნდა უხრჩოლოთ პირველად ყოველი ორი დღის შემდეგ, მერმე კი—თითო ჯერ კვირაში და ბოლოს ორ კვირაში ერთჯერ. ასე უნდა შვრებოდეთ მთელ ზაფხულს და განიმეორებდეთ ისევ გაზაფხულზედ. სასარგებლოა ზაფხულში ორჯერ და გაზაფხულ-შემოდგომაზე თითო ჯერ უხრჩოლოთ თვითეულ სხვა სალ სკასაც სალიცილის სიმჟავე, სადაც სკები იყვნენ ქამით ავადმყოფი.

ხრჩოლებასთან ძლიერ სასარგებლოა ფუტკრებისათვის ჭმევა ერთი გირვანქა თაფლისა, გირვანქა ნახევრის წყლისა და მეოთხედი მისხალის სალიცილის სიმჟავის ნასვრისა. ჭმევაც იმ რიგზე უნდა, როგორც ხრჩოლება.

აგრეთვე ძალიან სასარგებლოდ სცნობენ ფუტკრის ქამის წინაალმდეგ სკებში კაკლისოდენა ქაფურის დადებას, რომელსაც სტოვებენ სამ დღეს სკაში და სამ დღეს აცლიან, მთელი თთვის განმავლობაში ასე იმეორებენ.

მიიღება ხელის-მოწერა 1894 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათს მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფ ა ს ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ა:

12 თვით	«მ წ ყ ე მ ს ი»	5 მ.	6 თვით	«მ წ ყ ე მ ს ი»	3 მ.
— ,,	ორივე გამოცემა	6 »	— ,,	ორივე გამოცემა	4 »
— ,,	რუსული ,,	3 მ.	— ,,	რუსული ,,	2 მ.

სოფლის მასწავლებელთ «მ წ ყ ე მ ს ი» დაეთმობათ მთელის წლით **სამ მ ა ნ ე თ ა დ.**

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **კვირილაში** რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **კვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც**.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

«მწყემსი»-ს ხელის მომწერლებს **ს ა ჩ უ ქ რ ა დ** 1894 წელში დაურიგებათ მოზრდილი **მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა**

თ ა მ ა რ მ ე ფ ი ს ა.

მხატვრობა წარმოადგენს იმ დროს, როდესაც **შ ო თ ა რ უ ს თ ვ ე ლ ი** მიართმევს **თ ა მ ა რ ს** თავის უკვდავ პოემას ვეფხის ტყაოსანს. ამ მხატვრობაზე იქნება დახატული თვით **შოთა რუსთველი და თამარის მხლებლებიც** იმ დროის ტანთ-საცმელში.

მიიღება ხელის-მოწერა 1893 წლისათვის ორ გვერდ სასმაწვილო სურათებიან ჟურნალ

„ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთ-ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ეღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ-წერეთლისა.

(3—1)

შინაარსი: ქართლ-კახეთის მთელი ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრებისა გამო ქალაქ თბილისში.—«მწყემსის»-ს კორრესპონდენცია გორიდამ —თვით-განვითარება მასწავლებლისა.—ღია წერილი.—პასუხი ილია სიმონის ძე ჩხეიძეს.—დრო გამოიცვალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—თავლის წყარონი.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 14 Декабря 1893 г.*
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.